



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #38

ნომბერი, 2014

გამოშვებაში
წაიკითხავთ

GITI 2014

1

FIRST-ის

საერთაშორისო
სიმპოზიუმში
თბილისში

3

ICEGOV 2014 -

ელ-
მმართველობის
კონფერენცია
პორტუგალიაში

3



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ICT ბიზნეს საბჭოს ორგანიზებით 6-7 ნომბერს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ რიგით VII ყოველწლიური რეგიონული კონფერენცია (გამოფენა, დაჯილდოება) გაიმართა, რომლის მთავარი თემას კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებები წარმოადგენდა. კონფერენცია წლის საუკეთესო IT პროექტების ავტორთა დაჯილდოების ცერემონილით 7 ნომბერს დასრულდა.

ღონისძიება გახსნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ბარამიძემ.

წლევანდელმა კონფერენციამ, რომლის დევიზია „პარტნიორობა კონკურენციის, ინოვაციებისა და კიბერუსაფრთხოებისთვის“, რეკორდული რაოდენობის მონაწილეებს უასმპინძლა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელი. მათ განიხილეს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების საკითხები, წარმოადგინეს წლის განმავლობაში შემუშავებულ ინოვაციურ IT პროექტები და გაეცნენ აღნიშნული მიმართულებით ამა თუ იმ ქვეყნის მიერ მიღწეულ წარმატებებს (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საპარტნიორო
საკანონმდებლო
მაცნე

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(დასაწყისი გვ. 1)



კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო როგორც საქართველოში, ისე რეგიონში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხებს, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების პროექტებს, ასევე ამ პროექტებში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის პროცესს.

„შვიდი წლის მანძილზე ყოველი მომდევნო კონფერენცია განვითარების ახალ საფეხურზე გადადიოდა. დღეისათვის თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ICT ბიზნეს საბჭოს ორგანიზებით გამართული ღონისძიება ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში რეგიონული მასშტაბის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც თავს უყრის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სფეროში ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნების წამყვან მოთამაშეებს, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციამ არსებობის 7 წლიანი ისტორიის მანძილზე შექმნა საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობის უნიკალური მოდელი, რომლის მიხედვითაც ორივე მხარე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მიმართულების განვითარებისთვის ერთობლივი ძალისხმევით იწყებს მუშაობას.“ - აღნიშნავს გიგა შუბითიძე, ICT ბიზნეს საბჭოს პრეზიდენტი.

კონფერენციის მე-2 სამუშაო დღე მთლიანად დაეთმო კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებს. კიბერუსაფრთხოების შესახებ პრეზენტაციები გააკეთეს ამ მიმართულების მსოფლიოში აღიარებულმა ექსპერტებმა.

„დღეისათვის საქართველო ელექტრონული მმართველობის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან ეტაპს გადის. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ იკმნება ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული არაერთი მომსახურება და ამით მარტივდება და ფაქტობრივად ახალ ეტაპზე გადადის სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობა. ეს პროცესი კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან. ამდენად, კონფერენციას ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთანავე, როგორც ელექტრონული მმართველობის, ისე ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა და მოხარულები ვართ, რომ ჩვენი სააგენტო მისი დაარსებიდან მოყოლებული ამ კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორია.“ - აღნიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ, **ირაკლი გვენეტაძემ**.

კონფერენცია ტრადიციულად დაჯილდოების ცერემონილით დასრულდა. წელს 15 ნომინაციაში როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან 50-მდე პროექტი იყო წარმოდგენილი. კონფერენციის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, წლევიანდელი ნომინანტებიდან არ დასახელდა გრან-პრის მფლობელი და ყველა წარმოდგენილ პროექტის ღირებულება უფრო მკაფიოდ იქნა წარმოჩენილი.

გასულ წლებში გრან-პრის მფლობელები გახდნენ: 2013 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. 2012 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2011 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო (ამჟამად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო). 2010 და 2008 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ხოლო 2009 წელს - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

GITI 2014-ის ოქროს სპონსორები: Microsoft-ი და HP-ი. ვერცხლის სპონსორები კი Cisco, Orient Logic-ი, მაგთიკომი და UGT.

კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფების ფორუმმა (FIRST) საერთაშორისო სიმპოზიუმი გამართა

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ 14-16 ოქტომბერს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფების ფორუმის (FIRST) მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და მის დაქვემდებარებაში მოქმედი კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის CERT.GOV.GE-ს მხარდაჭერით გაიმართა.



სიმპოზიუმის მიზანია მონაწილეებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა თანამედროვე სამყაროში კიბერგამოწვევებთან

დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. სიმპოზიუმის პირველი დღე დაეთმო პლენარულ სესიებს, რომლის დროსაც როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ექსპერტების მიერ გაკეთდა პრეზენტაციები, ხოლო მომდევნო 2 დღე კი ტრენინგებს მიეძღვნა.

„მნიშვნელოვანია, რომ ისეთმა ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ, როგორც არის FIRST-ი, მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში პირველად გამართოს საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მთლიანად ეძღვნება ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების საკითხებს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო და მის დაქვემდებარებაში მოქმედი კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი CERT.GOV.GE აქტიურად ჩაერთო აღნიშნული სიმპოზიუმის ორგანიზების საკითხებში. მიგვაჩნია, რომ მსგავსი სახის ღონისძიებები ხელს შეუწყობს საქართველოში აღნიშნული მიმართულებით წარმოებული სამუშაოების კიდევ უფრო გააქტიურებას.“ - აღნიშნა **ირაკლი გვენეტაძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ.


FIRST-ი 1989 წელს დაარსდა და მას ფორუმის ფორმატი აქვს, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფებს. საქართველოსა და ფორუმის სრულყოფილებიანი წევრია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი CERT.GOV.GE. ფორუმის მიზანია წევრებს შორის შექმნას ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების ხელსაყრელი პლატფორმა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ინფორმაციულ და კიბერინციდენტებზე ეფექტიანად რეაგირების უზრუნველყოფისთვის.

ICEGOV 2014

26-31 ოქტომბერს პორტუგალიაში, ქალაქ გიმარაისში მიმდინარეობდა ელექტრონული მმართველობის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია ICEGOV 2014, რომელიც პორტუგალიის მთავრობის პატრონაჟითა და UNU-ს ორგანიზებითა და ინიციატივით გაიმართა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსმა **ნატა გოდერძიშვილმა**, რომელმაც საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების შესახებ გააკეთა პრეზენტაცია.

4 დღიანი პროგრამა ეხებოდა ელექტრონული მმართველობის თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელოვან თემებს - ღია მმართველობას, უსაფრთხოებას, ღია მონაცემებს, დიდ მონაცემებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ელ-მმართველობის ინიციატივებისა და პრაქტიკული მაგალითების ჩვენებას (გაგრძელება გვ. 4).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 3)



„კონფერენციის გახსნის დღეს ჩემ მიერ წარმოდგენილი იქნა პრეზენტაცია საქართველოს ელ-მმართველობის რეფორმების წარმატებული გზის შესახებ, რომელმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია. მნიშვნელოვანია, რომ მსგავს ფორუმებზე რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია გავიტანოთ საქართველოში ამ მიმართულებით განხორციელებული პროექტების შესახებ.

საინტერესოა, რომ ვაწარმოებთ მუშაობას მომავალ წელს საქართველოში შემდგომი კონფერენციის ჩატარების შესახებაც.“ - **ნატა გოდერძიშვილი**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **“Unsubscribe”**.